ვახტანგ მიქაშავიძე
ბსუ, ტურიზმის ფაკულტეტი

სამეცნიერო სემინარის თემა:

სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი — საქართველოს ტურისტული სექტორის განვითარების პრიორიტეტული მიმართულება

განხილულია ტურიზმის სექტორის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ნაჩვენებია მისი განვითარების დინამიკა 2017-2020 წლებში.

ამჟამად ტურიზმის ინდუსტრია ერთ-ერთი უმსხვილესი, მაღალშემოსავლიანი და დინამიურად განვითარებადი დარგია მსოფლიოში, იგი არსებით როლს თამაშობს მრავალი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. მიუხედავად ჩვენს ქვეყანაში დაგროვილი მრავალი პრობლემებისა (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვ.) ტურიზმი მაინც ინტენსიურად ვითარდებოდა.

კვლევის მიზანი

საერთაშორისო მოგზაურობის კლასიფიკაცია

წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი

ვიზიტის ტიპი	2018	2019	ცვლილება	ცვლილება %	წილი%
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	**8 679 544**	**9 357 964**	**678 420**	**7,8%**	**100,0%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	**7 203 350**	**7 725 774**	**522 424**	**7,3%**	**82,6%**
ტურისტული ვიზიტი	4 756 820	5 080 478	323 658	6,8%	65,8%
ერთდღიანი ვიზიტი	2 446 530	2 645 296	198 766	8,1%	34,2%
სხვა (არატურისტული)	**1 476 194**	**1 632 190**	**155 996**	**10,6%**	**17,4%**

ვიზიტის ტიპი	2019	2020	ცვლილება	ცვლილება %	წილი%
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	**9 357 964**	**1 747 110**	**-7 610 854**	**-81,3%**	**100,0%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	**7 725 774**	**1 513 421**	**-6 212 353**	**-80,4%**	**86,6%**
ტურისტული ვიზიტი	5 080 478	1 087 093	-3 993 385	-78,6%	71,8%
ერთდღიანი ვიზიტი	2 645 296	426 328	-2 218 968	-83,9%	28,2%
სხვა (არატურისტული)	**1 632 190**	**233 689**	**-1 398 501**	**-85,7%**	**13,4%**

გამოკვლევის მიზანს წარმოადგენს კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით დაგვესაბუთებინა **სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმში** არსებული მდგომარეობა, განვითარების შემაფერხებელი პრობლემები და ამ პრობლემების აღმოფხვრის საფუძველზე დასაბუთებულიყო ტურიზმიდან შემოსავლების მკვეთრი ზრდის საკითხები.

სამედიცინო ტურიზმის შედარებით ახალი მაგრამ სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ მისი ზრდის ტემპი ტურიზმის სხვადასხვა სეგმენტებს შორის ყველაზე მაღალია.

სამედიცინო ტურიზმი მოიცავს ყველა სახის მედიკამენტოზურ მკურნალობას, სტომატოლოგიას, კბილების პროტეზირებას, კოსმეტიკური მედიცინას, გულის იშემიური დაავადებების მკურნალობას (სტენდირება, შუნტირება), რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურება (უშვილობის მკურნალობა), პაციენტთა ქირურგიული მომსახურებას და სხვა. **აგრეთვე სამედიცინო პროფილის კურორტებზე მკურნალობას, რეაბილიტაციასა და გაჯანსაღებას.**

სამედიცინო ტურიზმის მიმართულებაში **დომინირებს გამაჯანსაღებელი ტურიზმი და სპა ტურიზმი (ბაზრის 41%).** სამედიცინო ტურიზმის განვითარებას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ფასი [4].

საქართველოს კანონში ტურიზმისა და კურორტების შესახებ სამკურნალო ტურიზმი განმარტებულია როგორც კურორტების გამოყენება მკურნალობის, სამედიცინო გამოკვლევებისა და სხვა სამედიცინო მომსახურების მისაღებად.

ჩვენ აქ სამედიცინო ტურიზმის მხოლოდ ამ უკანასკნელს სეგმენტზე —
სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმზე გვექნება საუბარი.

მსოფლიოს მასშტაბით უკანასკნელი 10-15 წლის მანძილზე შეიმჩნევა მოსახლეობის ინტერესის გაძლიერება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმისადმი, რომლის პოპულარობაც წლიდან წლამდე იზრდება. **2018 წელს ტურისტების დანახარჯებმა სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმზე შეადგინა 4,5 ტრილიონი დოლარი.** ეს მაჩვენებელი 2015 წლიდან 2017 წლის ჩათვლით ყოველწლიურად 6,5% იზრდებოდა, რაც ორჯერ უფრო სწრაფ ზრდაა საერთოდ ტურიზმის სექტორთან შედარებით. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ **სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმზე საერთაშორისო ტურისტები ხარჯავენ 1528 აშშ დოლარს** თითო მოგზაურობაში, რაც 53% მეტია ვიდრე საშუალოდ საერთაშორისო ტურისტები ხარჯავენ მოგზაურობაში [5].

წყარო: GWI. Wellness Industry Statistics & Facts

მოწინავე ტურისტული ქვეყნების გამოცდილების გაზიარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ბუნებრივი და საკურორტო ფაქტორების ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო (გააჩნია 103 კურორტი და 168 საკურორტო ადგილი) მიზანშეწონილი და **პრიორიტეტულია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარების დაჩქარება**, ახალი ბაზრების ათვისება და საქართველოს, როგორც ტურისტული ბრენდის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ეს კი შესაძლებელია **ისეთი ინოვაციური პროდუქტების ფორმირებით და შეთავაზებით როგორიც არის SPA და Wellness მომსახურება.**

ამჟამად მსოფლიოში SPA და Wellness კურორტებზე მოთხოვნილება სისტემატურად იზრდება. აქედან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უცხოური ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მკურნალობასა და გაჯანსაღების საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისება და ამ მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა ისეთ ცნობილ ბალნეოლოგიური და ბალნეო-კლიმატური კურორტების სამკურნალო დაწესებულებებში როგორიცაა წყალტუბო, ბორჯომი, საირმე, თბილისი, აბასთუმანი და სხვა.

გამოკვლევის ამ მონაკვეთში გაანალიზებულია საქართველოს ყველაზე ცნობილი ბალნეოლოგიური და ბალნეო-კლიმატური კურორტების **წყალტუბო, ბორჯომი, საირმე, აბასთუმანი და თბილისის** სამკურნალო დაწესებულებათა აღდგენა განვითარებისა, აგრეთვე ვიზიტორთა დინამიკის დღევანდელი მდგომარეობა და მათი ზრდის პერსპექტივები.

კურორტი **წყალტუბო - თერმულ რადიაქტიურ გაზიან წყლები** - წყლების მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს იზოთერმულობა, ტემპერატურა უახლოვდება 32-35^{0}C. ქალაქს 1920 წლიდან ბალნეოლოგიური კურორტის სტატუსი აქვს მინიჭებული, ხოლო **2019 წელს „ბალნეოკურორტი წყალტუბო“ გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (NUWTO) აფილირებულ წევრად აღიარეს.**

დღეისთვის, **წყალტუბოს** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე სასტუმრო, ახლად აღდგენილი სანატორიუმები, „სპა რეზორტი“ და პანსიონატი „წყალტუბო“, აგრეთვე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 4 აბაზანა. ამის შედეგად **2018 წელს წყალტუბოში მიიღეს და უმასპინძლეს 315 ათას, ხოლო 2019 წელს 339 ათას ვიზიტორს**. მართალია, ტურიზმის ზრდის ასეთი დინამიკა იმედისმომცემია, მაგრამ ჯერ კიდევ არ შეესაბამება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურისტული ინდუსტრიის პოტენციალს. დღევანდელი მდგომარეობით კურორტის შეუძლია ბალნეოლოგიური დანიშნულებით მხოლოდ 1000 პაციენტის, ხოლო ღამისთევით 5000 ვიზიტორის მიღება, რაც 2,5-ჯერ ჩამორჩება გასული საუკუნის 90-იანი წლების მაჩვენებელს [10].



ამჟამად **წყალტუბოს** მუნიციპალიტეტის მთავარ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს კურორტის ტერიტორიაზე ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ძველის აღდგენა-რეაბილიტაცია, და სხვადასხვა სერვისების განვითარება.

მიტოვებული წყალტუბო ახალი სიცოცხლის მოლოდინში!







ბორჯომი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბალნეოლოგიური კურორტია. მისი ვულკანური წარმოშობის მინერალური, **ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმიანი**, სამკურნალო წყლის თვისებები საქვეყნოდაა ცნობილი. კურორტ ბორჯომის აღორძინება, კეთილმოწყობა და საზოგადოებრივად გამოყენება 1921 წლიდან დაიწყო. დღეისათვის ბორჯომის მინერალური წყალი გააქვთ მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში.



ბორჯომის მუნიციპალიტეტში ტურიზმის ინდუსტრია ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად ვითარდებოდა, აქედან გამომდინარე, იზრდებოდა შემოსულ საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობაც. კერძოდ, მათი რიცხვი **2018 წელს 303 ათას** ადამიანამდე გაიზარდა, რაც 2015 წლის მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება. **ბორჯომში** ტურისტების განთავსების შესახებ მონაცემების რამდენიმე წყარო არსებობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემთა ბაზის მიხედვით, სულ ტურისტების განთავსების 164 ობიექტია რეგისტრირებული ბორჯომის მუნიციპალიტეტში, რაც სულ 3,098 ნომერს და 8,407 საწოლს სთავაზობს ვიზიტორებს [11].

CROWNE PLAZA BORJOMI

ვიზიტორების რაოდენობის დინამიკა (ჩაშლილი)



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

განთავსების ობიექტების მიწოდება ბორჯომის მუნიციპალიტეტში კურორტების მიხედვით

ტურისტული მიმართულება/კურორტი	ობიექტების რაოდენობა	ნომრების რაოდენობა	საწოლების რაოდენობა
ბაკურიანი	120	1869	5458
ბორჯომი	26	871	1990
ლიკანი	1	19	75
ტბა	2	17	48
ტიმოთესუბანი	1	7	35
ცემი	10	166	496
წაღვერი	3	142	287
სხვა	1	7	18
სულ	**164**	**3098**	**8407**

წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

RIXOS BORJOMI

საირმე საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბალნეოლოგიურ კურორტს წარმოადგენს. საირმის მინერალური წყლები ცნობილი გახდა XIX საუკუნის ბოლოდან. ისინი მიეკუთვნებიან **ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, კალციუმიან-ნატრიუმიან წყლებს**. მინერალური წყალს ასხამენ ბოთლებში „საირმის“ სახელწოდებით და მისი რეალიზაცია წარმოებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე.

კურორტ **საირმეში** ოთხი სხვადასხვა სამკურნალო და ერთი თერმული წყარო ამოედინება. ახალი **კურორტი „საირმის“ რეაბილიტაციის შემდეგ კომპლექსში წარმოდგენილია სამი სასტუმრო, რომელთაგან ორი ოთხვარსკვლავიანია.** კომპლექსი აერთიანებს 342 ნომერს, სადაც 1000-მდე ვიზიტორის განთავსებაა შესაძლებელი ერთდროულად. კომპლექსი მოიცავს თანამედროვე საკვებ და სამედიცინო ობიექტებს, გერმანული დანადგარებით აღჭურვილ სამკურნალო / სარეკლაქსაციო სპა და ველნეს ცენტრს, აგრეთვე სხვადასხვა აქტივობებს. კურორტი „საირმე“ ვიზიტორებს მასპინძლობს წელიწადის ოთხივე სეზონზე [12].

2020 წლისთვის კურორტი „საირმე“ World Travel Award-ის გამარჯვებული გახდა და **„საქართველოს წამყვანი კურორტი 2020“**-ის ჯილდო მოიპოვა.

საქართველოს ზოგიერთი ცნობილი კურორტის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვა და პერსპექტივები

აბასთუმანი

აბასთუმანი ფართოდ ცნობილი სამთო-კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტია, მდებარეობს ადიგენის მუნიციპალიტეტში. კურორტის ძირითად სამკურნალო ფაქტორს წარმოადგენს **მთის კლიმატი**. კურორტ აბასთუმანის ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარებისა და ახალ მშენებლობათა პროექტის განხორციელება დაიწყო 2018 წლიდან. კურორტზე უკვე აღდგენილია 18 ისტორიული შენობა. სრულად არის ათვისებული მინერალური წყაროების პროფილაქტიკური, რეკრეაციული და სამკურნალო პოტენციალი. ამის შედეგად, კურორტს მთელი წლის განმავლობაში ყავს ვიზიტორები. კერძოდ, უკანასკნელი პერიოდში აბასთუმანს ყოველწლიურად საშუალოდ სტუმრობს **200 ათასი ტურისტი** [13].



თბილისი თავისი მინერალური წყლების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბალნეოლოგიური კურორტია ქვეყანაში. იგი წარმოიშვა ადგილობრივი **თერმული გოგირდ-წყალბადოვანი წყაროების** ბაზაზე. 2017 წელს დედაქალაქს ესტუმრა ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა 50%, 2018 წელს 52,3% ხოლო 2019 წელს 54,6% [1], რაც შესაბამისად შეადგენდა 3241215, 3767352 და 4218273 ვიზიტორს. ამგვარად, უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 30,1 პროცენტით.



მიუხედავად ბევრი პრობლემისა, რომელიც არსებობს საქართველოს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ტურიზმში, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ იგი განვითარების შეუქცევად გზას ადგას. ამაზე მეტყველებს უკანასკნელი წლების მანძილზე ამ სფეროში განხორციელებული საკმაოდ სოლიდური ინვესტიციები, მათ საფუძველზე შექმნილი ახალი ან განახლებული და მოდერნიზებული სამკურნალო-სამედიცინო ცენტრები და მთლიანად კურორტები. ამის მაგალითად გამოდგება კოჯრის სამკურნალო კურორტი „**ბიოლი**“, რეკონსტრუირებული „**წყალტუბო სპა რესორტი**“, განახლებული კურორტები **საირმე** და **აბასთუმანი**, აგრეთვე კურორტი შეკვეთილი ახლად გახსნილი პრემიუმ კლასის საერთაშორისო განთავსების საშუალებით „**Paragraph Resort & Spa**“.

PARAGRAPH
Resort & Spa
SHEKVETILI
AUTOGRAPH COLLECTION®
HOTELS

გთავაზობთ 220 ნომერს
კერძო აივნებითა ზღვის
ულამაზესი ხედებით

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საქართველოში უკვე ფუნქციონირებს სამედიცინო ველნეს კურორტი **ბიოლი** (Bioli), რომელიც თავისი არსით ახალი სიტყვაა დასვენებისა და გაჯანსაღების ინდუსტრიაში. იგი თანამედროვე მედიცინის უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებზეა დაფუძნებული და **ყველა პროგრამაში ფართოდაა გამოყენებული საქართველოს ენდემური ფიტორესურსებისა და ბუნებრივი რესურსების შესაძლებლობების მრავალფეროვნება** [15]. მდებარეობს თბილისის საკურორტო აგლომერაციაში, კურორტ კოჯორთან. პროექტში **14 მილიონ აშშ დოლარზე** მეტი ინვესტიცია განხორციელდა.

BIOLI
ველნეს კურორტი

2019 WINNER WORLD LUXURY HOTEL AWARDS
LUXURY FOREST RESORT

გამოკვლევის ამ მონაკვეთში ნაჩვენებია **კორონავირუსის პანდემიის შედეგად ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება** და ტურიზმის ეკონომიკის დაცემის პროცესი. კერძოდ, ნათქვამია, რომ 2020 წელს გასული 2019 წელთან შედარებით ქვეყანაში შემოსული საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა შემცირდა 80,4 %, ხოლო ტურისტთა რაოდენობა 78,6%. აქვე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს კორონავირუსის ამ უხილავი მტერის დასამარცხებლად ყველა საჭირო ღონისძიება. **აღადგინოს მოკლე დროში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ცენტრები და კურორტები მოამზადოს ვიზიტორთა მისაღებად, რომელთაც ესაჭიროებათ პოსტკოვიდური სინდრომის დაძლევა, გაჯანსაღება და რეაბილიტაცია. ეს შესაძლებელს გახდის მოკლე დროში მიღწეული იქნას შემოსავლების მკვეთრი ზრდა.**

ვიზიტის ტიპი	2019	2020	ცვლილება	ცვლილება %	წილი%
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	**9 357 964**	**1 747 110**	**-7 610 854**	**-81,3%**	**100,0%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	**7 725 774**	**1 513 421**	**-6 212 353**	**-80,4%**	**86,6%**
ტურისტული ვიზიტი	5 080 478	1 087 093	-3 993 385	-78,6%	71,8%
ერთდღიანი ვიზიტი	2 645 296	426 328	-2 218 968	-83,9%	28,2%
სხვა (არატურისტული)	**1 632 190**	**233 689**	**-1 398 501**	**-85,7%**	**13,4%**

ვიზიტის ტიპი	2019: 4 თვე	2020: 4 თვე	2021: 4 თვე	ცვლილება 2019/2021	ცვლილება 2020/2021	ცვლილება 2019/2021 %	ცვლილება 2020/2021 %	წილი%
საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები	**2 265 318**	**1 368 586**	**220 466**	**-2 044 852**	**-1 148 120**	**-90,3%**	**-83,9%**	**100,0%**
საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტები	**1 883 261**	**1 154 814**	**212 707**	**-1 670 554**	**-942 107**	**-88,7%**	**-81,6%**	**96,5%**
ტურისტული ვიზიტი	1 230 649	792 203	192 397	-1 038 252	-599 806	-84,4%	-75,7%	90,5%
ერთდღიანი ვიზიტი	652 612	362 611	20 310	-632 302	-342 301	-96,9%	-94,4%	9,5%
სხვა (არატურისტული)	**382 057**	**213 772**	**7 759**	**-374 298**	**-206 013**	**-98,0%**	**-96,4%**	**3,5%**

სწორედ ასეთი გზა გვესახება რეალურად, რათა ტურიზმის სექტორში შექმნილი კრიზისი ვაქციოთ განვითარების ახალ შესაძლებლობად!

გამოკვლევის ამ მონაკვეთში ჩამოყალიბებულია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმში შექმნილი კრიზისის დაძლევისა და მისი განვითარების უახლესი პერსპექტივები, წინადადება-რეკომენდაციები.

საქართველოში სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედებისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია:

- პირველ რიგში სახელმწიფომ მთავრობის, კერძო სექტორისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობით მოახდინოს მოსახლეობის დროული ვაქცინაცია და ყოველი ღონისძიებით ხელი შეუწყოს ტურიზმის მდგრად, ინკლუზიურ და სიცოცხლისუნარიან განვითარებას.
- ტურიზმის სექტორის ხელმძღვანელობამ მთავრობის დახმარებით მიაღწიოს ევროკავშირის, ჩრდილო ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის ქვეყნებში საქართველოს უნიკალური კლიმატური, ბალნეოლოგიური და ბალნეო-კლიმატური კურორტების ფართო რეკლამირებას მაღალგადახდისუნარიანი ვიზიტორების ქვეყანაში მოდი მოზიდვის მიზნით.
- სამთავრობო ორგანოების მიერ ჩამოყალიბდეს ტურიზმის განვითარების ეროვნული კონცეფცია, სადაც მეცნიერულ დონეზე იქნება გაანალიზებული მონაცემები, რომელიც შეეხება ამ სფეროს განვითარებისათვის საჭირო რესურსების მოზიდვას, არსებული პოტენციალის სწორად შეფასებას და სამიზნე ბაზრების დადგენას.
- შეიქმნას სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის პოტენციალის შესახებ მუდმივგანახლებადი, სრულყოფილი ელექტრონული ბაზა. მასში ასახული უნდა იყოს მსხვილი სამედიცინო დაწესებულებების და კლინიკური ცენტრების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოს ნებისმიერი მცხოვრებისათვის.
- გაუმჯობესდეს სატრანსპორტო სისტემის საქმიანობა – მოწესრიგდეს შიდასაქვეყნო და რეგიონთაშორისი საგზაო სამარშრუტო ქსელი, ასევე აღდგეს ავია და საზღვაო რეისები ვიზიტორების ტრანსპორტირებისა და გასეირნებისთვის.
- არსებული მოძველებული ტურისტული ინფრასტრუქტურის აღდგენა, რეაბილიტაცია და განვითარება, აგრეთვე ახლის მშენებლობა; აქტიური სარეკლამო პოლიტიკის წარმოება ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში; მაღალი დონის სასტუმროებისა და სამედიცინო ცენტრების ქსელის ჩამოყალიბება და სხვ.
- ახლად აშენებულ საკურორტო ტურისტულ ცენტრებთან მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს: საერთაშორისო ჯაზფესტივალი, ტურიზმის თემატიკაზე შექმნილი ფილმების ფესტივალი Tourfilm და რა თქმა უნდა, საერთაშორისო კინოფესტივალი, სადაც მსოფლიო მასშტაბით ბევრი ცნობილი ადამიანი იყრის თავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ტურიზმის 2019 წლის სტატისტიკური მიმოხილვა. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ,, 2020
2. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია – 2025. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, თბ., 2016
3. Kelle, E, [2013] Medical Tourism Word Health Organization The Global Wellness Tourism Ecome, Global Spa Wellness Summit Global Wellness institute, 2013
4. ვერულავა თ. სამედიცინო ტურიზმი და საქართველო: პრობლემების სპეციფიკა და რეკომენდაციები. „სამედიცინო ტურიზმი პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამედიცინო პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული, ბათუმი, 2016. გამომც. „დანი“, თბ., 2016, გვ. 100-110
5. Global Wellness Institute (GWI). Wellness Industry Statistics & Facts. https://globalwellnessinstitute.org/press-room/statistics-and-facts/
6. გოგუაძე ნ., ხუსკივაძე მ., გამაჯანსაღებელი ტურიზმის ინოვაციური განვითარება ენოთერაპიისა და ამპელოთერაპიის მაგალითზე საქართველოში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული კონფერენციის – „ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში და მსოფლიო გამოცდილება“ ფინალურ ეტაპზე გასული მონაწილეების ნაშრომები. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველო, თბ,., 2016, გვ. 7-9
7. ქუთათელაძე რ., ყურაშვილი გ., ბერიძე თ., საქართველოს უპირატესობები სამკურნალო ტურიზმში, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომათა კრებული – ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი (5-6 ივლისი, 2014, ბათუმი-ხიხანის ხეობა), გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 254-257
8. ფირანაშვილი მ., გამსახურდია თ., სამკურნალო ტურიზმი, როგორც პროდუქტი მდგრადი განვითარებისათვის. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პირველი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „სამედიცინო ტურიზმი: პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სამედიცინო პრობლემები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ – მასალები, ბათუმი, 2016, გვ. 70-78
9. ნადარეიშვილი ნ., ძიძიკაშვილი ნ., სამკურნალო და SPA ტურიზმის კლასტერიზაციის განვითარების პერსპექტივები (წყალტუბოს მაგალითზე), ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის ” საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული – ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი (5-6 ივლისი, 2014, ბათუმი – ხიხანის ხეობა, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 402- 405.
10. წყალტუბოს განვითარების პოტენციალის ანგარიში (საბაზისო კვლევა). GIPA 2019 წელი. https://www.tskaltubolag.ge/medias/media/other/42/report-1.pdf
11. ტურიზმის გენერალური გეგმა ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის. აპრილი, 2020. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/poverty/borjomi-tourism.html
12. კურორტ საირმის შესახებ. 18 იან. 2019. http://sairme.com.ge/ka/News/Details/kurort--sairmis--shesaxeb
13. დაბა აბასთუმნის ქალაქთმშენებლობითი გეგმები. ადიგენის მუნიციპალიტეტი. თბ., 2019. https://mrdi.gov.ge/pdf/5ea6e36756e6d.pdf
14. მიქაშავიძე ვ., მიქაშავიძე ჟ., საქართველოს ტურისტული რესურსები. ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი. ბათუმი, 2017, გვ. 143, 151, 154, 165, 170.
15. ფირანაშვილი მ., სამედიცინო ტურიზმი-პრიორიტეტები და შესაძლებლობები BIOLI ველნეს კურორტის მაგალითზე, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული – ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი (10-11 ივლისი, 2017, ბათუმი), გამომც. „მერიდიანი“, 2017, თბ., გვ. 221-226

მადლობთ ყურადღებისათვის !